თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს

დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

1. წინამდებარე დებულება შემუშავებულია "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და ადგენს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (შემდგომში აკადემიის) რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტზე სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის მოქმედების პრინციპებსა და წესს, აგრეთვე, ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამის განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს;
2. დოქტორანტურის დანიშნულება და მიზანი
   დოქტორანტურა არის უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური და მიზნად ისახავს სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებას. დოქტორანტურაში სწავლა მთავრდება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარი-სხის მინიჭებით. დოქტორანტურის მიზანია: სადოქტორო პროგრამების საფუძველზე დოქტორანტის ინტელექტუალური პროფესიული ზრდა, მეცნიერების აღნიშნულ დარგებში ახალი ცოდნის შექმნა, კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენება საკვლევი თემატიკის შესაბამისად, სამეცნიერო კადრების მომზადება, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, დოქტორანტის ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში.

თავი II. დოქტორანტურა

მუხლი 2. დოქტორანტურის სფერო

1. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ტ" ქვეპუნქტის თანახმად, დოქტორანტურა არის უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრების მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით;
2. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს;
3. დოქტორანტი არის პირი, რომელიც დოქტორანტურაში სწავლობს;

4. დოქტორი უმაღლესი აკადემიური ხარისხია, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება დისერტაციის დაცვის შემდეგ შემდეგი მიმართულებით:

- რესტავრაცია/კონსერვაცია;
- ხელოვნების ისტორია და თეორია/ ხელოვნებათმცოდნეობა

თავი III. დოქტორანტურაში მიღების წესი მუხლი 3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;
2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

მუხლი 4. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები

1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება მხოლოდ დამტკიცებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, წელიწადში ორჯერ;

2. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, კონკურსანტმა სადისერტაციო საბჭოს კოორ-დინატორს უნდა წარუდგინოს განცხადება ფაკულტეტის დეკანის სახელზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სადოქტორო პროგრამა. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

3. კონკურსანტის ავტობიოგრაფია (მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესხაახებ), CV;

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დამოწმებული ასლები (უნივერსიტეტს უფლება აქვს, კონკურსანტს ან უკვე ჩარიცხულ სტუდენტს მოსთხოვოს კანონმდებლობის შესაბამისად დიპლომის აღიარების შესახებ დოკუმენტის წარმოდგენა. აღიარების დოკუმენტის გონივრულ ვადაში წარმოუდგენლობა არის ჩარიცხვაზე უარის ან ჩარიცხული დოქტორანტის ჩარიცხვის ბათილობის საფუძველი);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი;
- ფოტოსურათი, ზომით 3X4 (სმ);
- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ასლთან ერთად ან აკადემიის მიერ ორგანიზებული უცხო ენის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი მოწმობა; უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი გაცემული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ (გერმანული ენაში: Goethe – Zertifikat B2,ვისაც აქვს ჩაბარებული: Zertifikat Deutsch für den Beruf, DAF, Sprachdiplom Kultrusminister და Konferenz, ZMP, Zentrale Oberstufenprüfung, Kleines/Grosses Deutsches Sprachdiplom, DSH უნივერსიტეტებისთვის თავისუფლდება გერმანული ენის გამოცდისაგან .ინგლისური ენაში: - CEFR B2, IELTS exam – 5, BEC exam and CELS exam – Vantage, Cambridge exam – FCE, Pritman ESOL Internationa l, TOEIC – 541, TOEFL: – 500 (paper - based), 173 (computer - based), 61 (internet - based); ფრანგულ ენაში - Diplome de Langue Francaise (DL) (AF), Diplome d'Etudes en Langue Francaise DELF/B2 (CIEP). უცხო ენის

გამოცდისაგან აგრეთვე თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის კურსი აქვთ გავლილი გერმანულ, ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე;

- პროფესიით მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა;
- სამოტივაციო წერილი საკვლევ თემასთან დაკავშირებით, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს შერჩეული თემის აქტუალურობა და მნიშვნელობა;
- განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებში სამეცნიერო პუბლიკაციების და კონფერენციებში მონაწილეობის მითითების შემთხვევაში, დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარადგინოს აგრეთვე აღნიშნული მასალების ასლები;
- დოქტორანტურის კონკურსანტი, რომლის მშობლიური ენა არ არის ქართული და რომელსაც სურს ქართულენოვან პროგრამაზე სწავლა, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს (B2 დონე);
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებით;
- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა.

3. დოქტორანტურაში ჩარიცხვის აუცილებელი პირობაა 3 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში;

4. დოქტორანტობის კანდიდატი წინასწარ გადის გასაუბრებას სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და მისი თემის სამომავლო ხელმძღვანელთან; იღებს მათგან თანხმობას და წერილობით შუამდგომლობას ფაკულტეტის საბჭოზე გასაუბრების გავლის თაობაზე.

მუხლი 5. საკონკურსო გასაუბრება და დოქტორანტურაში ჩარიცხვა

1. კონკურსანტი, რომელიც დოქტორანტურის კოორდინატორს დადგენილ ვადებში სრულად წარუდგენს წინამდებარე დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ საბუთებს, აკმაყოფილებს სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს და იგი დაიშვება გასაუბრებაზე.

2. დოქტორანტურის კონკურსანტი გასაუბრებაზე გადის დოქტორანტურის კოორდინატორის წარდგინებით ფაკულტეტის საბჭოს წინაშე;

3. ფაკულტეტის საბჭოს კონკურსანტის საანკეტო მონაცემებსა და სამოტივაციო წერილს საკვლევ თემასთან დაკავშირებით წარუდგენს დოქტორანტურის კოორდინატორი ან სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. სამოტივაციო წერილში დასაბუთებული უნდა იყოს შერჩეული თემის აქტუალურობა და მნიშვნელობა.

4. დოქტორანტობის კანდიდატი ვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე წარადგინოს საკვლევად შერჩეული თემა. იგი ფაკულტეტის საბჭოს წინაშე აკეთებს საკუთარი სამეცნიერო პროექტის ვრცელ ზეპირ პრეზენტაციას (საილუსტრაციო მასალითურთ), რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს არჩეული სადისერტაციო თემა, ძირითადი პრობლემატიკა, ამ პრობლემების გადაჭრის სავარაუდო გზები და სავარაუდო კვლევის მეთოდები; და ასევე, საბჭოს წარუდგენს რეფერატის ტექსტს

(ტექსტი არა ნაკლებ 15 გვერდისა, Sylfaen-11/12, პრეზენტაცია - მაქსიმუმ 40 წთ.);
5. დოქტორანტობის კანდიდატი,ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით, ირჩევს სამეცნიერო ხელმძღვანელს და მას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო;
6.დოქტორანტის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო;
7. გასაუბრების წარმატებით გავლის შემთხვავეში კონკურსანტი ჩაირიცხება შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე;
8. კონკურსანტი დოქტორანტურაში ჩაირიცხება დეკანის წარდგინებითაკადემიის რექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
9. დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ორი კვირის ვადაში უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის იდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

თავი IV. დოქტორანტურაში სწავლა და სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა

მუხლი 6. დოქტორანტურაში ჩაბარების ვადები:

1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის ან/და გაზაფხულის სემესტრებისათვის.

მუხლი 7. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა:

1. თსსა რესტავრაცია/კონსერვაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტზე დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობაა 3-დან 5 წლამდე;
2 თუ დოქტორანტმა 3 წლის თავზე ვერ დაასრულა სადისერტაციო ნაშრომი, მისი ხელმძღვანელი წერილობით თხოვნით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს მაქსიმუმ 2 წლით გაუხანგრძლივოს მას დოქტორანტურაში სწავლის ვადა. საბჭოს თანხმობის შემთხვევაში სტუდენტს უნარჩუნდება სტუდენტის აქტიური სტატუსი;
3. მე-9 სემესტრის ბოლოს სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინოს ანგარიში დოქტორანტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ.

მუხლი 8. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა

1.დოქტორანტს აკადემიური შვებულება ეძლევა მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიაში დადგენილი წესების შესაბამისად.
2. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება დოქტორანტის სტატუსი შეუჩერდეს თსსა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
3.აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და შინაგანაწესით დადგენილი წინაპირობების გარდა დოქტორანტს შეიძლება დოქტორანტის სტატუსი შეუწყდეს:

- პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;
- აკადემიასა და დოქტორანტს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინე- ბული პირობების შეუსრულებლობისას;
- დოქტორანტს სტაუსი შეუწყდება, თუ იგი ჩარიცხვის მომენტიდან 10 წლის

განმავლობაში ვერ წარმოადგენს დასრულებულ სადისერტაციო ნაშრომს

4. დოქტორანტისათვის დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის წარმოების დაწყება ხდება ფაკულტეტის დეკანის, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ან სამეცნიერო ხელმძღვანელის მოხსენების საფუძველზე.

5. დოქტორანტის სტატუსი სტუდენტს შეუწყდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და შინაგანაწესით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

თავი V. სადოქტორო პროგრამა

მუხლი 9. სადოქტორო პროგრამის შემუშავება და წარდგენა

1.სადოქტორო პროგრამის შემუშავება ხდება:

- ფაკულტეტის ერთი ან რამდენიმე პროფესორის მიერ;
- აკადემიის სხვა ფაკულტეტთან ან ფაკულტეტებთან ერთად;
- პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად;
- სასწავლო ან სამეცნირო დაწესებულებასთან ერთად _ აკადემიასა და ამ დაწესებულებას შორის დადებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

2. სადოქტორო პროგრამის კურიკულუმს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს თსსა აკადემიურ საბჭოს;
3. სადოქტორო პროგრამას ამტკიცებს აკადემიის აკადემიური საბჭო;
4. სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს (თანახელმძღვანელობს) თსსარესტავრაცია/ კონსერვაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;
5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები.
6. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს:
    - თსსა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;
    - პარტნიორი სასწავლო დაწესებულების პროფესორი;
    - პარტნიორი სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერი;
    - სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.
7. თითოეულ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო, პროგრამებისადა ფაკულტეტის რესურსების შესაბამისად.

მუხლი 10. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

1. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს;
2. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით.

მუხლი 11. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქ-ტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.
2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სალექციო კურსებსა და სხვა სახის აქტივობებს.
3. პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს მაქსიმუმ 50 კრედიტს და მასში შედის:

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები:

- საფაკულტეტო სასწავლო კურსები (სავალდებულო) – 15 ECTS (5+5+5);
- 2 სემინარი სპეციალობაში (სავალდებულო) – 20 ECTS (10+10);
- ინტერდისციპლინური სემინარი (სავალდებულო, არჩევითი) — 10 ECTS.

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები:

- სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტი მოიცავს 5 ECTS.

4. სასწავლო კომპონენტის აუცილებელი ნაწილია სამი სავალდებულო სემინარი. ერთი სემინარი - ინტერდისციპლინური და ორი სემინარი - სპეციალობის.
5. სემინარების ჩატარების ვადებს ადგენს დოქოტრანტი ხელმძღვანელთან შეთანხმებით და ამ ვადებს უთითებს საკუთარ ინდივიდუალურ გეგმაში.
6. კოორდინატორთან სემინარის ჩატარების შესახებ განაცხადის წარდგენის შემდეგ, ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს სემინარის ჩატარების თარიღს;
7.დოქტორანტი ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული თემების ჩამონათვალიდან ირჩევს ერთ-ერთ თემას, ამუშავებს მას;
8.დოქტორანტს მოეთხოვება ამ თემაზე მინიმუმ 10 გვერდიანი რეფერატის (Sylfaen, 11). დაწერა, რომელსაც დოქტორანტურის კოორდინატორი ერთი კვირით ადრე გასაცნობად უგზავნის საბჭოს წევრებს;
9. დოქტორანტი საბჭოს წინაშე წარმოადგენს ზეპირ პრეზენტაციას (თუ თემა მოითხოვს ილუსტრაციების თანხლებთ);
10. რეფერატისა და პრეზენტაციის შეფასება ხდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

მუხლი 12. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი

1. სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია სტუდენტის კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.
2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი, შესაბამისი სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების გარდა, სავალდებულო წესით ითვალისწინებს:
3. დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

- ორ კოლოკვიუმს.
- კვლევითი (საკვალიფიკაციო) ნაშრომის შესრულებას და მის დაცვას/საჯარო

პრეზენტაციას.

- კვლევითი კომპონენტი ასევე მოიცავს დისერტაციის დაცვამდე ერთი სტატიის გამოქვეყნებას რეფერირებად ჟურნალში და ერთ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას (დადასტურებულს შესაბამისი დოკუმენტაციით). ამ აქტივობაში დოქტორანტს არ ენიჭება კრედიტები, მაგრამ მათ გარეშე იგი დაცვაზე არ დაიშვება;

4. დოქტორანტურაში სწავლის აუცილებელი ნაწილია დოქტორანტის კოლოკვიუმი, რომელზეც ხდება კვლევის შუალედური შედეგების პრეზენტაცია;
5. კოლოკვიუმები არ ფასდება ნიშნით, მაგრამ სავალდებულოა და დაცვაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს;
6.კოლოკვიუმის შეფასების წესსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო;
7. კოლოკვიუმების ჩატარების განრიგი გაწერილი უნდა იყოს დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმაში.
8. კოლოკვიუმის ჩატარებისას დოქტორანტი აკეთებს ზეპირ პრეზენტაციას და წარმოადგენს მინიმუმ 15 გვერდიან რეფერატს (Sylfaen, 11).
9. თუ დაცვის თარიღისათვის არ ესწრება სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება, დოქტორანტმა სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს რეფერირებადი გამოცემის რედაქტორის ოფიციალური წერილობითი თანხმობა გადაცემული სტატიის დაბეჭდვის დადასტურების თაობაზე.

მუხლი 13. დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა

1.დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით. გეგმა იქმნება კონკრეტული ცოდნის გასაღრმავებლად და კვლევითი პროექტის განსახორციელებლად; ის მოიცავს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების გრაფიკს;
2 ინდივიდუალურ გეგმაში მითითებული უნდა იქნეს კვლევის მიზანი, სადისერტაციო თემის მოკლე აღწერა, სასწავლო კომპონენტისა და კვლევის ჩატარების სავარაუდო გრაფიკი;
3. დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო;
4. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დოქტორანტი წარადგენს იმ სასწავლო წლის ინდივიდუალურ გრაფიკს;
5. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დოქტორანტი წარადგენს წერილობით და ზეპირ ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

თავი VI. დოქტორანტის ხელმძღვანელის, სადოქტორო პროგრამის კოორდინატორისა და დოქტორანტის უფლება-მოვალეობები

მუხლი 14. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. ფაკულტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელით, უქმნის პირობებს სამეცნირო კვლევის ჩასატარებლად;
2. დოქტორანტის სამეცნირო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი, სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. დისერტაციის ხელმძღვანელი აგრეთვე შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის სადისერტაციო საბჭოს წევრი;

3. დოქტორანტობის კანდიდატს უფლება აქვს აირჩიოს სამეცნიერო ხელმძღვანელი; (იხ. მუხლი 4.3.);
4. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სამეცნიერო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები;
5. სამეცნიერო ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს დოქტორანტს ინდივიდუალური გეგმის შედგენისას და კონტროლს უწევს ამ გეგმის განხორციელება/შესრულებას;
6. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ხელმძღვანელი აკეთებს ანგარიშს მის მიერ დოქტორანტთან ჩატარებული სამუშაოს შესახებ;
7. სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია რეგულარულად ჩაუტაროს კონსულტაციები დოქტორანტს. კონსულტაციების სიხშირე სამეცნიერო თემის სპეციფიკიდან გამომდინარე დგინდება ხელმძღვანელისა და დოქტორანტის შეთანხმებით. კონსულტაციების მინიმალური რაოდენობა - წელიწადში 4 კონსულტაცია;
8. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ მან სწავლის ნებისმიერ ეტაპზე სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს დასაბუთებული განცხადება;
9. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ თსსა-ში დაკავებული აკადემიური თანამდებობის დატოვება არ იწვევს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე უარის თქმას, თუ თანამდებობის დატოვების შემდეგ ფაკულტეტის სადიერტაციო საბჭო უახლოეს სხდომაზე მიიღებს გადაწყვეტილებას ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მისი მოწვევის შესახებ. ამ შემთხვევაში აკადემიას, დოქტორანტის ხელმძღვანელსა და დოქტორანტს შორის ხელი მოეწერება ახალ ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეების ვალდებულებების გარდა, განისაზღვრება ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურების პირობები;
10. იმ შემთხვევაში, თუ დისერტანტს აქვს სურვილი დასაწყის ეტაპზე შეცვალოს სამეცნიერო ხელმძღვანელი, მან სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს დასაბუთებული განცხადება. ასეთ შემთვევაში საბჭო ამტკიცებს ახალ სამეცნიერო ხელმძღვანელს;
11. დოქტორანტს შესაძლოა ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს იმ პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორი ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერი, რომელთანაც თსსა-ს დადებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება, ან რომელთანაც რეატავრაცია/კონსერვაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტს ერთობლივად აქვს შემუშავებული სადოქტორო პროგრამა.
12. ხელმძღვანელის კონსულტაცია მოიცავს:

- დოქტორანტისათვის სამეცნიერო თუ ტექნიკური ხასიათის რჩევების მიცემას;
- დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას;
- კვლევის დიზაინსა და მენეჯმენტში დოქტორანტის დახმარებას;
- ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში დოქტორანტის ინტეგრირების ხელშეწყობას;
- სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებისათვის, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის რჩევების მიცემას.

13.თითოეულ პროფესორს უნდა ჰყავდეს არაუმეტეს 3 დოქტორანტისა. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტს აქვს შეჩერებული რეგისტრაცია, სამეცნიერო ხელმძღვანელს სტუდენტი რაოდენობაში არ ეთვლება.

მუხლი 15. სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი

1. ფაკულტეტზე დოქტორანტთა მომსახურებაზე განპირობებულია ერთი კოორდინატორი. რომელსაც თავად აქვს აკადემიური ხარისხი;
2. კოორდინატორის ვალდებულებაში შედის დოქტორანტთა პირადი საქმეების წარმოება და სადოქტორო პროგრამების დებულებით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტისა თუ ნაშრომის პირად საქმეში დართვა;
3. კოორდინატორი დოქტორანტებს აწვდის ყველა ტიპის ინფორმაციას დოქტორანტურაში ჩაბარების, სწავლისა და დისერტაციის დაცვის პროცედურების შესახებ;
4. აძლევს მათ სასწავლო და კვლევითი გეგმების ფორმებს;
5. ასევე აწვდის მათ დოკუმენტებს გამოსაქვეყნებელი სტატიის შეფასების, დისერტაციის გაფორმების წესისა და დაცვის შემდეგ გამოსაცემი წიგნის პარამეტრების შესახებ;
6. ათანხმებს დოქტორანტებთან და სემესტრულად ადგენს დოქტორანტების სემინარებისა და კოლოკვიუმების ჩატარების განრიგს/გრაფიკს;
7. ამზადებს მათთვის ნებისმიერი ფორმის ცნობას მათი მოთხოვნის შესაბამისად;
8. კოორდინატორის ვალდებულებაა დოქტორანტების ინფორმირება სემინარების, კოლოკვიუმების, აპრობაციის თუ ნაშრომის დაცვის ვადებისა და თარიღის შესახებ;
9. კოორდინატორი ნებისმიერ ინფორმაციას აწვდის დოქტორანტებს როგორც ელფოსტით, ასევე, ტელეფონის საშუალებით; ასევე, მის ვალდებულებაში შედის ინფორმაციის გავრცელება სოციალურ ქსელებსა და თსსა ვებ-გვერდზე.

მუხლი 16. დოქტორანტის ფუნქცია-მოვალეობები

1. დოქტორანტი იზიარებს იმ წესებს, რომელიც მოქმედებს აკადემიაში;
2. დოქტორანტი უნივერსიტეტში დადგენილი წესების შესაბამისად ასრულებს სასწავლო და კვლევითი კომპონენტებს;
3. დოქტორანტი დადგენილ ვადებსა და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ფორმატში წარადგენს კვლევით და სასწავლო კომპონენტებს;
4. დოქტორანტი იზიარებს დაწესებულებაში პლაგიატის შესახებ დადგენილ ნორმებს.
5. დოქტორანტი იზიარებს დაწესებულებაში მიღებული ეთიკური ნორმების და პროცედურების დაცვას;
6. დოქტორანტი აწარმოებს დისერტაციასთან დაკავშირებულ რეგულარულ შეხვედრებს ხელმძღვანელთან;
7. დოქტორანტი ერთვება სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში;
8. დოქტორანტი ურთიერთობს ხელმძღვანელთან დისერტაციის მომზადებისა და სხვადასხვა კომპონენტის პრეზენტაციისთვის;
9. დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად ყოველი წლის ბოლოს წარმოადგენს ერთობლივად შესრულებული სამუშაოს ანგარიშს;
10. დოქტორანტი თუ უარს აცხადებს სამეცნიერო ხელმძღვანელთან

თანამშრომლობაზე, იგი ვალდებულია, ამის შესახებ სწავლების ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება წარუდგინოს ფაკულტეტის საბჭოს.

თავი VII. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

მუხლი 17. სადისერტაციო საბჭოს ფუნქცია და შემადგენლობა

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორანტის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც შექმნილია თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტზე;
2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის ყველა პროფესორის და ასოცირებული პროფესორისაგან, ასევე, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ორი მოწვეული მუდმივი წევრისაგან;
3. სადისერტაციო საბჭოში შემავალი ორი მოწვეული მუდმივი წევრი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელი და შეიძლება მოწვეული იყოს პარტნიორი უნივერსიტეტიდან ან პარტნიორი სამეცნიერო დაწესებულებიდან;
4. სადისერტაციო საბჭოში შემავალი ორი მოწვეული მუდმივი წევრიაირჩევა 4 წლის ვადით;
5. გარედან მოწვეული სპეციალისტების საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის საკითხს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და იღებს გადაწყვეტილებას;
6. ყოველ დაცვაზე ფაკულტეტის საბჭო ვალდებულია მოიწვიოს დამატებით ორი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე წევრი, რომლებსაც აქვთ სადისერტაციო ნაშრომის სფეროში კვლევის ან პრაქტიკული მოღვაწეობის გამოცდილება;
7. ამ დებულების საფუძველზე შექმნილი სადისერტაციო საბჭო დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს რესტავრაცია/კონსერვაციაში, ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში/ ხელოვნებათმცოდნეობაში და კულტურის კვლევებში.

მუხლი 18. სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი

1. სადისერტაციო საბჭო საქმიანობას წარმართავს ფაკულტეტის საბჭოს მიერ შემუშავებული და თსსა აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე დებულების შესაბამისად;
2. სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, წელიწადში მინიმუმ ორჯერ;
3. სადისერტაციო საბჭოს სხდომებს იწვევს სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარე და თავადვე უძღვება სხდომას;
4. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი (ნახევარი +1). გადაწყვეტილების მიღება ხდება დამსწრეთა ხმების სულ მცირე 2/3-ით. გადაწყვეტილებები მიიღება ფარული კენჭისყრით;
5. სადისერტაციო საბჭოს სხდომები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 19.სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება

1.სადისერტაციო საბჭო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს;

2. შეიმუშავებს და ამტკიცებს დისერტაციის დაცვის ოქმის სტრუქტურას;
3. განსაზღვრავს ეროვნული და საერთაშორისო რეფერირებადი გამოცემების სიას;
4. თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საბჭოს მდივანს, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი;
5. გარედან მოწვეული სპეციალისტების საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის საკითხს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და იღებს გადაწყვეტილებას;
6. სადისერტაციო საბჭო შეარჩევს და ნიშნავს რეცენზენტებს;
7. სადისერტაციო საბჭო განიხილავს წარმოდგენილ სადოქტორო ნაშრომს და დოქტორანტს ანიჭებს კვალიფიკაციას;
8. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია გაეცნოს დისერტაციასთან დაკავშირებით შემოსულ წერილობით გამოხმაურებებს;
9. სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

მუხლი 20. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილება

1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ირჩევს სადისერტაციო საბჭო;
2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ არ შეიძლება დოქტორის ხარისხის მაძიებლის ხელმძღვანელისა და რეცენზენტების არჩევა;
3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია გაუძღვეს საბჭოს სხდომებს.
4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წელიწადში ერთხელ აბარებს ანგარიშს ჩატარებული საქმიანობის და მომავალში ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ;
5. ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 21. სადისერტაციო საბჭოს მდივანი და მისი უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს სადი- სერტაციო საბჭოს მდივანი, რომელსაც სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, ოთხი წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, ირჩევს სადისერტაციო საბჭო.
2. სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

- აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს თსსა-ში საქმისწარმოების ერთიანი წესების მიხედვით;
- ეხმარება თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;
- ხელმძღვანელობს საბჭოს არქივსა და საქმის წარმოებას;
- უზრუნველყოფს სხდომის ოქმის წარმოებას;
- უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას თსსა ვებ-გვერდზე;

- კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტებს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში.

3. სადისერტაციო საბჭოს მდივანი ვალდებულია, სადისერტაციო საბჭოსა და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებები, ასევე, პროგრამის განხორციელების პროცესში არ-სებული ნებისმიერი სხდომის ვადების შესახებ ინფორმაცია აცნობოს დოქტორანტს წერილობი-თი ფორმით (ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

თავი VIII. სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა

მუხლი 22. სადისერტაციო ნაშრომი

1. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელთაც წვლილი შეაქვთ დარგის განვითარებაში;
2. თუ სადოქტორო ნაშრომი წარმოადგენს საგრანტო ჯგუფური პროექტის ნაწილს, სავალდებულოა გრანტის გამცემისა და ჯგუფის წევრების წერილობითი დასტური ავტორობასა და გამოცემაზე;
3. სადისერტაციო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. განსაკუთრებულ შემთხვევაში სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო;

მუხლი 23. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის წესი

1. სადისერტაციო ნაშრომი ფაკულტეტის საბჭოს გადაეცემა ორ აკინძულ და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად;
2. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დისერტანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
   - განცხადება დისერტაციის განსახილველად მიღების შესახებ;
   - სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული კრედიტების დაგროვებისა და კვლევითი კომპონენტის - კოლოკვიუმების - ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი;
   - დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა იმის შესახებ, რომ ნაშრომი მზად არის განხილვაზე წარსადგენად;
   - ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის დასკვნა წარმოდგენილი დოკუმენტაციის დებულებასთან შესაბამისობის შესახებ;

   - საბჭოს მიერ წინასწარ შედგენილ სიაში შეტანილ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების ქსეროასლები ან დაბეჭდვის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მუხლი 24. ექსპერტის მიერ დისერტაციის შეფასება და სადისერტაციო ნაშრომის შემოწმება პლაგიატზე

1. დისერტრაციის წარდგენიდან არა უგვიანეს ორი კვირის ვადაში ფაკულტეტის საბჭო დისერტაციის შესაფასებლად გამოყოფს ექსპერტს, რომელმაც ერთი თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა.
2. ექსპერტად ინიშნება მეცნიერი, რომელიც იმავე დარგში ან სფეროში მუშაობს, რომელშიც სადისერტაციო ნაშრომია შესრულებული;
3. ექსპერტი არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, აგრეთვე, დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი;
4. თუ ექსპერტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, სადისერტაციო საბჭო ნაშრომის შესაფასებლად გამოყოფს მეორე ექსპერტს;
5. ორი უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დისერტაციას არ მიეცემა შემდგომი მსვლელობა და დაუბრუნდება დოქტორანტს გადასამუშავებლად;
6. ექსპერტის მიერ ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
    - სადოქტორო თემის აქტუალურობა;
    - კვლევის მეცნიერული სიახლე;
    - დისერტაციის გაფორმების და აკადემიურობის ხარისხი;
    - სადისერტაციო ნაშრომისადმი წაყენებული ტექნიკური პარამეტრების დაცვა.
7. ექსპერტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის შესახებ დადებითი შეფასების წარმოდგენის შემდეგ, არაუგვიანეს ერთი კვირისა, ნაშრომი იგზავნება პლაგიატზე შესამოწმებლად;
8. პლაგიატზე შემოწმებისა და დოქტორანტის მიერ გარკვეული ცვლილებების შეტანისათვის მიცემული ვადა განისაზღვრება მაქსიმუმ ერთი თვით.
9. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად მუშაობს პლაგიატის გამოსასწორებლად და ამზადებს ახსნა-განმარტებას,რისთვისაც მას ეძლევა არა უმეტეს ორი კვირისა.
10. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება პლაგიატის კომისია 5 წევრის შემადგენლობით.
11. პლაგიატის კომისიის სხდომა განიხილავს ხელმძღვანელთან ერთად დოქტორანტის მიერ პლაგიატის გამოსწორების საკითხს და შემუშავებულ ახსნა-განმარტებას და აძლევს ან არ აძლევს დოქტორანტს თანხმობას სადისერტაციო ნაშრომის შემდგომი მსვლელობის შესახებ.

მუხლი 25. შემფასებლების (რეცენზენტების) დამტკიცება

12. ექსპერტის მიერ დისერტაციის დადებითად შეფასებისა და სადისერტაციო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების წარმატებით გავლის შემთხვევაში დისერტანტი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის ყდაში აკინძულ ოთხ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატით),
13. ასევე დისერტანტი ვალდებულია წარმოადგინოს დისერტაციის რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე (თითოეული - 20-30 გვერდი), რომელიც კოორდინატორის მიერ უნდა გამოქვეყნდეს აკადემიის ვებ-გვერდზე დისერტაციის რეცენზენტებისათვის წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში.

14. დისერტაციის წარმოდგენიდან ათი დღის ვადაში იკრიბება სადისერტაციო საბჭო, რომელიც თავის წევრთაგან ირჩევს მომავალი დაცვისათვის საბჭოს თავმჯდომარეს, ამავე სხდომაზე ინიშნებიან რეცენზენტები და ინიშნება დაცვის თარიღი;
15. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი შეიძლება იყოს მხოლოდ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში გამოქვეყნებული აქვს შრომები.
16. რეცენზენტებს დისერტაციის გასაცნობად და დასკვნის წარმოსადგენად ეძლევათ ორი თვის ვადა;
17. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს:

- სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ან მდივანი;
- დისერტანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი;
- დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი.
- დაუშვებელია, რომ ორივე რეცენზენტი იყოს რომელიმე ორგანიზაციის ერთი და იმავე სტრუქტურული ერთეულის (მაგალითად, ფაკულტეტის, სკოლის) თანამშრომელი.

18. დოქტორანტურის კოორდინატორი რეცენზენტების დანიშვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის ეგზემპლარების გადაცემას რეცენზენტებისათვის.

მუხლი 26. ვრცელი რზიუმე (ავტორეფერატი)

1. ვრცელი რეზიუმე სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვარიანტია.
2. ვრცელი რეზიუმე შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ დაინტერესებული პირი გაეცნოს ნაშრომის ძირითად შედეგებს.
3. ვრცელი რეზიუმე უნდა შეიცავდეს სატიტულო ფურცელს. მასში ასახული უნდა იყოს: თემის აქტუალურობა, სამუშაოს მიზანი, კვლევის ობიექტი და მეთოდები, ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე, აგრეთვე ინფორმაცია დისერტაციის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ. ვრცელ რეზიუმეში გადმოცემული უნდა იყოს დისერტაციის ძირითადი შედეგები თავების მიხედვით და ზოგადი დასკვნები.
4. ვრცელი რეზიუმე უნდა შესრულდეს ქართულ და ერთ-ერთ საერთაშორისო (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ) ენაზე.
7. ვრცელი რეზიუმეს მთლიანი მოცულობა (თითოეულ ენაზე) უნდა იყოს 20-30 A4 ფორმატის ფარგლებში. (Sylfaen, 11);
8. ვრცელი რეზიუმე დისერტაციის წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში კოორდინატორის მიერ უნდა გამოქვეყნდეს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მუხლი 27. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირება

1. რეცენზენტმა (შემფასებელმა) სადისერტაციო ნაშრომის შესახებ თავისი წერილობითი დასკვნა (რეცენზია) სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგოს ნაშრომის გადაცემიდან არა უგვიანეს ექვსი კვირისა.
2. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე რეცენზენტის მიერ რეცენზიის წარმოდგენა

ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.) შეუძლებელია, სადისერტაციო საბჭო ნიშნავს მესამე რეცენზენტს.

3.რეცენზენტი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში გამოქმეყნებული აქვს ნაშრომები;

4. რეცენზენტის რეცენზიაში უნდა აისახოს:

- სადისერტაციო თემის აქტუალობა;
- სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე;
- ნაშრომის სტრუქტურა, შინაარსობრივი მხარე, საკვლევი მასალის ფლობის ხარისხი;
- კვლევის მეთოდოლოგია, სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებისა და გამოყენების უნარი;
- თანმიმდევრული მსჯელობის, არგუმენტირებისა და ციტირების უნარი;
- პრობლემის ადეკვატური გააზრებისა და კრიტიკული ანალიზის უნარი;
- ვიზუალური მასალის წარმოჩენა, საპრეზენტაციო უნარები.

5. რეცენზია უნდა დადასტურდეს რეცენზენტის ხელმოწერით, რომლის ნამდვილობა უნდა იყოს დამსაქმებელი ორგანიზაციის ბეჭდით დამოწმებული.

6. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს:

- სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ან მდივანი;
- დისერტანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი;
- დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი.
- დაუშვებელია, რომ ორივე რეცენზენტი იყოს რომელიმე ორგანიზაციის ერთი და იმავე სტრუქტურული ერთეულის (მაგალითად, ფაკულტეტის, სკოლის) თანამშრომელი.

7. დოქტორანტურის კოორდინატორი რეცენზენტების დანიშვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის ეგზემპლარების და ავტორეფერატების გადაცემას რეცენზენტებისათვის.

8. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება-რეკომენდაცია დისერტანტის დაცვაზე დაშვების ან არ დაშვების შესახებ, ასევე, ნაშრომის შესწორების მიზნით დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების თაობაზე;

9. ორივე რეცენზენტის მიერ დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში დისერტანტი დაიშვება დაცვაზე;

10. თუ რეცენზენტების დასკვნები ერთმანეთისაგან განსხვავდება, ანუ ერთ-ერთი უარყოფითია, მაშინ დამატებით ორი კვირის ვადაში ინიშნება კიდევ ერთი რეცენზენტი და მას რეცენზიისათვის ეძლევა ერთი თვის (30 კალენდარული დღე) ვადა. ასეთ შემთხვევაში დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ საბჭო ხელახლა ნიშნავს დისერტაციის დაცვის თარიღს;

11. ფაკულტეტმა დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს შემფასებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

12. სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასებისა და დოქტორანტის დაცვაზე დაუშვებლობის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს ეძლევა სადისერტაციო ნაშრომზე დამატებითი მუშაობის უფლება. ამ შემთხვევაში დოქტორანტს, აკადემიაში დადგენილი წესის შესაბამისად, ეძლევა

დამატებითი სემესტრ(ებ)ის აღების უფლება სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.
13. სადისერტაციო საბჭოს სადისერტაციო ნაშრომი განმეორებით უნდა წარედგინოს მომდევ-ნო ორი წლის განმავლობაში, მაგრამ არა უადრეს უარყოფითი შეფასების მიღებიდან ერთი წლის ვადაში. თუ განმეორებით წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი მიიღებს უარყოფით შეფასებას, დოქტორანტს უწყდება სტუდენტის სტატუსი.
14. დოქტორანტის მიერ ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული სადისერტაციო ნაშრომი გადაეცემათ იმავე შემფასებლებს, ხოლო თუ ეს ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.) შეუძლებელია, საბჭო ნიშნავს ახალ შემფასებლებს.
15. ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული სადისერტაციო ნაშრომის ვერცელი რეზიუმე უნდა შესრულდეს ქართულ და ერთ-ერთ საერთაშორისო (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ) ენაზე.
16. დაცვაზე დაშვების უარის შემთხვევაში, უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი პირი და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები შესანახად გადაეცემა ფაკულტეტის ფაკულტეტის არქივს.
17. დოქტორანტს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით მოხსნას განხილვიდან თავისი ნაშრომი ნებისმიერ ეტაპზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დისერტაციის წარდგენა შეიძლება შემდეგ სასწავლო წელს.

მუხლი 28.დისერტაციის დაცვა

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა წარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე საჯაროდ.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დაშვებული.
3. სადისერტაციო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე საბჭოს წევრთა 3/4 და მეტი.
4. თუ დაცვას საპატიო მიზეზით არ ესწრება ერთ-ერთი რეცენზენტი, ამ შემთხვევაში რეცენზია მთლიანად უნდა წაიკითხონ დაცვის მსვლელობისას.
5. დაცვას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი. თუ იგი საპატიო მიზეზით არ ესწრება საბჭოს სხდომას, იგი საბჭოს უგზავნის შესაბამის მოხსენებით ბარათს და დოქტორანტის პიროვნულ დახასიათებას.
6. თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გავიდა დისერტაციის დაცვაზე, ან სადისერტაციო საბჭოს კვორუმი არ შედგა, ან დაცვა არ შედგა დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, სადისერტაციო საბჭოს მიერ დაინიშნება დამატებითი დაცვა იმავე სემესტრში.
7. სადისერტაციო საბჭოს ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი სადისერტაციო ნაშრომის დაცვა.
8. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე თავმჯდომარე აცხადებს დისერტანტის ვინაობას და დისერტაციის თემას, ექსპერტებისა და რეცენზენტების ვინაობას.
9. სადისერტაციო საბჭოს მდივანი დამსწრე საზოგადოებას აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დისერტაციის დაცვის პროცედურას და დოქტორანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.
10. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას,

სამეცნიერო კამათს, სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას და სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადებას.

11. დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს დოქტორანტის მოხსენებას — თემის წარმოდგენას, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს. საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტი საბჭოს მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს.

12. ნაშრომის პრეზენტაციისას დისერტანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა.

13. ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ სიტყვა ეძლევა ხელმძღვანელს (ხელმძღვანელებს), რომელიც წარმოადგენს და დაახასიათებს დისერტანტს, მის მიერ ჩატარებულ სამუშაოს;

14. შემდეგ სიტყვა ეძლევათ რეცენზენტებს.

15. რეცენზენტების გამოსვლის შემდგომ, დოქტორანტი პასუხობს მათ შეკითხვებსა და შენიშვნებს.იმართება სამეცნიერო კამათი. დოქტორანტი უპასუხებს დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

16. სამეცნიერო კამათის დასრულების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით, დოქტორანტს ეძლევა დასკვნითი სიტყვა, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.

17. დოქტორანტის დასკვნითი სიტყვის შემდეგ სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად სადისერტაციო საბჭოს წევრები გადაწყვეტილებას იღებენ დახურულ დასკვნით სხდომაზე ფარული კენჭისყრით.

მუხლი 29. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

1. სადისერტაციო საბჭომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება “დაიცვა” ან “ვერ დაიცვა”;

2. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;

3. ნაშრომის შეფასება ხდება სადისერტაციო საბჭოს წევრების მიერ ფარული კენჭისყრით;

4. სადისერტაციო საბჭოს თითოეული წევრი საკუთარ შეფასებას წერს ანონიმურად ინდივიდუალურ უწყისში. საბოლოო შეფასება კი გამოიყვანება საშუალო არითმეტიკულით, რომელსაც ანგარიშობს თავმჯდომარე და მდივანი.

5. ამის შემდგომ საბჭოს თავმჯდომარე ღია კენჭისყრაზე აყენებს საკითხს გამოყვანილი ქულის ლათინურ სქემასთან შესაბამისობისა და დოქტორანტისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. ღია კენჭისყრაში მონაწილეობას იღებენ სადისერტაციო საბჭოს წევრები.

6. ნიშანი ფორმდება შემაჯამებელ უწყისში, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და სხდომაზე დამსწრე საბჭოს ყველა წევრი;

7. საბოლოო შეფასება აისახება მდივნის მიერ შედგენილ ოქმში. ოქმს ხელს აწერენ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;

8. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები მტკიცდება ფაკულტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე;

9. საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემის მიხედვით:

დადებითი შეფასება:

- 91-100 ქულა არის შეფასება **summa cum laude** (ფრიადი)- შესანიშნავი ნაშრომი;
- ·81-90 ქულა არის შეფასება **magna cum laude** (ძალიან კარგი) — შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- 71-80 ქულა არის შეფასება **cum laude** (კარგი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- 61-70 ქულა არის შეფასება **bene** (დამაკმაყოფილებელი)- შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- 51-60 ქულა არის შეფასება **rite** (საკმარისი) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

უარყოფითი შეფასება:

- 41-50 ქულა არის შეფასება **insufficienter** (არადამაკმაყოფილებელი) — შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- 40 და ნაკლები ქულა არის შეფასება **sub omni canone** (სრულიად არადამაკმაყოფილებელი) — შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

10. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აცნობს ზეპირად;
11. დისერტაცია არ ითვლება დაცულად თუ საბოლოო შეფასება იქნება "არადამაკმაყოფილებელი", ან "სრულიად არადამაკმაყოფილებელი".
12. მდივანს უნდა ჩააბარონ საკუთარი ტექსტი ხელმძღვანელმა და რეცენზიები _ რეცენზენტებმა და ისინიც უნდა ინახებოდეს დოქტორანტის პირად საქმეში;
13. სხდომის მსვლელობა უნდა აღიწეროს ოქმში (მათ შორის სამეცნიერო დისკუსიის დეტალებიც);
14. ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი;

მუხლი 30. სადისერტაციო ნაშრომის გამოქვეყნება

1. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტურის კოორდინატორმა უნდა უზრუნველყოს წარმატებით დაცული სადისერტაციო ნაშრომის გამოაქვეყნება ელექტრონული ფორმით აკადემიის ვებ-გვერდზე.
2. დისერტაციის დაცვიდან ორი კვირის განმავლობაში დოქტორანტურის კოორდინატორი ვალდებულია სადისერტაციო ნაშრომის ერთი ეკზემპლარი გადასცეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ერთი ეკზემპლარი - აკადემიის ბიბლიოთეკას, ერთი კი - ფაკულტეტზე არსებულ ლეო რჩეულიშვილის სახელობის კაბინეტს.
3. სადისერტაციო საბჭოს მდივანი სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებიდან ათი დღის ვადაში ამზადებს ბრძანების პროექტს დოქტორანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ, რომელსაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;
4. დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტი ვალდებულია 4 თვის

განმავლობაში გამოსცეს ნაშრომი წიგნად; წიგნი წარმოადგინოს ფაკულტეტზე და მოაწყოს მისი საჯარო პრეზენტაცია. წიგნი უნდა გამოიცეს თსსა გრიფით, ფაკულტეტის მიერ შემუშავებული და ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილი პარამეტრების მიხედვით.

5. აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის და დიპლომის დანართის გაფორმება მოხდება წიგნის გამოცემის შემდგომ უნივერსიტეტში დადგენილი საქმისწარმოების წესის შესაბამისად.

6. აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ფორმდება ორ ენაზე (ქართულ და ინგლისურ); შეიცავს მინიჭებული აკადემიური ხარისხის სახელწოდებასა და დაცვის თარიღს;

7. აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დიპლომს ხელს აწერს აკადემიის რექტორი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და დამოწმებულია თსსა ბეჭდით.

მუხლი 31. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორს დოქტორის აკადემიური ხარისხი ჩამოერთმევა, სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენის, მონაცემების გაყალბების, პლაგიატის და აკადემიური პატიოსნების სხვა ნორმების დარღვევის შემთხვევაში.